საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-327

ქ. თბილისი

08/04/2020

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მცხეთის მუნიციპალიტეტში, ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნა N27 (24.03.2020წ.);
2. სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N27 (24.03.2020წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი